№ 110

საქართველო მაგეთი

№ 110

შაბათი, 18 სექტემბერი, 1910 წ. — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა — წელიწ. პირველი

ქართული ფილარმონიული საზოგადოება და **ქართული საზოგადოება „განათლება“** აცხადებენ: პირველი თავის მარიველობის წევრის და სკოლის ინსპექტორის, — მეორე თავის დამფუძნებელი წევრის და სკოლის გალობის მასწავლებლის

გიორგი ივანეს ძე ნატრაძის

სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება კვირას, 19 სექტემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. პანაშვიდის დასაწყისი 12 საათზე. (2—72—1)

16 სექტემბერს 1910 წელს გარდაიცვალა ღენერალ-მაიორის ქვრივი

ელენე ზაქარია (ჩაჩიკა) (ზვილის) ასულ ქერავსკისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა ქალი მისი **კნ. ნადეჟდა დადიანისა შვილებით** და ბიძაშვილები: **ზაქარია, ანტონი** და **ნიკოლოზ ივანეს ძენი არძევანიძეები** და **დანი** მათნი. პანაშვიდი დღეს, 18 სექტემბერს, საღამოს 7½ საათზე, ხოლო გამოსვენება კვირას, 19 სექტემბერს, დილის 9 საათზე (მეტეხი ქუჩა, სახლი № 30) ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—73—1)

გულდაგუთქული მშობლები **ვასილ** და **ალათი, მეუღლე ოლღა შვილით გიორგით** აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ უდროო გარდაცვალებას

ერისტო ვასილის ძე ბუკუჩავისას

რომლის დაკრძალვა მოხდება **დაბა სამტრედიაში** კვირას 19 სექტემბერს. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან ნათლის მკვლის ეკლესიაზე. (2—70—1)

სახალხო სახლი ძმ. ზუგალაშვილებისა

კვირას 19 სექტემბერს 1910 წელს სახალხო სახლიან არსებულ ქართულ წარმოდგენების წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

სამხედრო განაკში

დრ. 4 მოქმ. ბერლეინისა, თარგ. ა. იმედამვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ანგარა; ბ-ნნი გ. ანამვილი, ა. ბადრიძე, ნ. გოგრიძე, ი. ზურაბიშვილი, მ. ინამვილი, ა. მეტრეველი, ა. ნარი, ხ. პეპანაძე, ი. რევაზიანი, გ. ჭიაურელი, გ. ფრონსბერელი და სხვანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში დღითი 12—2-დე და საღ. 6—8 ს-მდე.

ადმინისტრატორი: **ლ. ვასვასიშვილი**, მთრიგი წევრი: **ს. თავდიშვილი**, რეჟისორი: **ნ. გოცირიძე.**

თეატრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას თვით შეგვიწყალნ ნელი წესიერების დაცვაში. სხვის ალაგებზე ნუ დაჯდებიან, ბავშვების თეატრში შეყვანა სრულიად აკრძალულია. ფარდის ასდის შემდეგ თეატრის დარბაზში არავის შეუშვებენ. (2—უ.—1)

დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე

„ნაკადულის“ პრემია).

შემუშავებული ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის“ წლიურ ხელის-მომწერთა რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და დაუთმოს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეოონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა 20 ენკენისთვემდე. ღირება გაუგზავნელად 1 მანეთი. (6—უ.—4)

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის

წიგნის მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული **სახელმძღვანელო წიგნები.**

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადადებებათ თითო შაური.

ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. . . . . ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, ... „ 50 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათუნაძისა, ... „ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, ... „ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, ... „ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, ... „ 10 „
7. დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ბარაიანი. . . . . „ 15 „

(25—5.—21)

საზოგადოების წევრთა და განსაკუთრებით კახელ მევენახეთა

საყურადღებოდ

ამით აცხადებს, რომ **„კახეთის“** საზოგადოების საქმეების გაუკეთესების გამო მას საშუალება აქვს კახურ ღვინის მთელი მოსავალი ძომხმარებლებზე გასაღოს შუამდგომელობა დაუხმარებლივ.

საზოგადოების წესდების მე-§ § 4 და თანახმად, მიღებულ ღვინოში პატრონს მიეცემა პირველად დიოეაულობის მესამედი, შემდეგაც ორი-მეესამედი ორჯერობაზე დაუბრკოლებლად საოპერაციო წლის განმავლობაში. გამგეობა იმედოვნებს, რომ ღვინის მწარმოებელნი აიკილებენ ჩარჩ მოვაჭრეებს თავიანთ-და სასარგებლოდ და საერთო საქმის გასაძლიერებლად. (10—65—2)

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, იუბკები, ზედა და ქვედა ხალათები.

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზაფხულო წამოსასხამები და ავრეთვე ბაკვერის პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადაფასებული ძაკვს საკუთარ მეხიდან, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა ადგილებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. ადგილია მოთავსებულია ნიკოლოზის ნიდზე «ფაბრინი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—3)

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

ბიურო

პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საკანკელო ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი“, „საქმე“, „ზაკავკაზია“, „ნოვაია რეჩი“ და ჟურნალები „მათრახი და ალაბარი“, „ერი“ და „თეატრი და ცხოვრება“. ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგეთ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე. რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, ისეთ ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ, Эрастію Давидовичу Горделадзе.

საჭიროა აგენტი

პროვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ საჭიროდ.** საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: სამტრედიაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, ასალ-სენაკში, ბაქოში, ელისავეტპოლში (განჯა), ერევანში და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართეთ და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.

კვირას, 19 სექტემბერს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს

გაიმართება 11 საინტერესო კავკასიური

ჭიდაობა

ქრუგის სასარგებლოდ

ამ კვირია იჭიდავებს კავკასიის 1-ლი გამოჩენილი ფალავანი

კულა გლდანელი

და ახლად ბაქოდან ჩამოსული გამოჩენილი მოჭიდავე

ნაბი მამედოვი, (ვიდა ნ წუთია).

2. ძიბაკა ქეურნული და დათიკო მამიეკი. 3. შამეა ვერელი და მაქრე ზაუტამვილი. 4. ვასო ცალქალამანიძე და გიგა გარეგანელი. 5. გიორგი დოთიამვილი (ბორელი) და გიორგი პატარძეულელი. 6. თედო კაკამკილი და ბოგლ მჭედლიძე, მთიელი. 7. ვასო კოტმკელამვილი და ნიკა გარეჯელი, ბოგიტს მიჯი. 8. გიორგი მანუჩარიანი, თლუნფი ნავთლუღელი, და დათიკო ნატრამვილი, პატარა მეტივე. 9. თედო ნასელნიკი და მაქრე თამამკილი, ძეჯვრისხვეველი. 10. ერეკლე ბაზელი და სანო პაიჭაძე. 11. კოტე კოკოლი და პავლე ძეჯვრისხვეველი.

გარდა ამისა იჭიდავებს ჩიდაობის მოყვარულნი.

ანონსი: მოამავალ კვირას გაიმართება საინტერესო კავკასიური ჭიდაობა.

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება მეცვლოს მოჭიდავენი

დასაწყისი საღამოს 5½ საათზე. ადმინისტრატორი ნ. კიკნაძე.

(2—40—1)

ტფილისის კერძო სავაჭრო

30 შუადმიერ საწოლით და საშუალოსარგ. ბინოფიდებით.

დია არის ყოველ დღე გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ; გარდა კვირა. 11-12 საა.

გელეგანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., და პარ. 10½—11 ს.

ბურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქაქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. [illegible]—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე 2—2-ნახ. ს.

სიბოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სათასორით. (200—ნ.—280)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსახარეულ ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. ბ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით. (წლ.—ნ.—441)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პრეს. N 12, სახლი ძდივანიხა. (უ)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (ხაზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ნალ.—34)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაძნეჯა და გადადება რენტგენის სხივებით. ბორა, ყორდანოვის ქ. 20. (0—6.—47)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ს. ბ. ბ. 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—218)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაზე N 2. ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და ხადამოს 5—8 საათამდე.

ექიმი **მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩხნის ქ., № 9. (უ)

ქართული სექცია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს **მუშათა საყურადღებოდ,** რომ ქართ. სექც. სკოლებში 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა. სწავლის ფასია საათვეში 1 მან. ამ სკოლაში ხუთმეტ წლისაზე პატარა არ მიიღება მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ 7 სექტემბრიდან ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს **ექვსიდან შვიდ საათამდე.** იმავ სკოლებ ძი: გოგოლის ქუჩა № 45 ვოგზლის მახლობლად ვეროზე, ოლგისქუჩა № 52, ოლგის საბებიო ინსტიტუტის კეკერდით. ავლაბარი, ქალანთარის საქალაქო სკოლაში. (15—უ.—10)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

განისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ბუთმაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოხეტვის ქ. № 4. სახლი კაპანაძისა. (ე)

ქ. მ. წ. კითხვის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

ეპისკოპოსის პირველისა „კულტურული ბავლენა ევროპისა რუსეთის ისტორიაზე“

ფასი 3 მან. (10—64—2)

დაბა ბაღდადის ბაზაზელ ქსენონის საამშენებლო

კომისია

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 26 ენკენისთვის, დღით, კვირას, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ქუთაისის მაზრის დაბა ბაღდადში

დანიშნულია ვაჭრობა

აღნიშნულ ქსენონისთვის შენობის **იჯარით გასაცემად.**

ხარჯთ აღრიცხვა თანხა შეადგენს 12,467 მან. 43 კ. დაწვრილებით პირობების გაკეთა შეძლება ბაღდადში **ანტონ ბუცხრიკიძესთან.**

(2—68—1)

ქუთაისში დაარსებულა

ქართველ მეშვიდრეობა

საზოგადოებამ გამგეობამ უკვე ძალაც წყო მოპოვება

გუნდი

მოქმედებისა.

ეხლა გამგეობა მოიწვევს ქალებსაც, რომელნიც მოისურვებენ საზოგადოებაში ჩარიცხვას მამაკაცებთან ერთად, საერთო გუნდის შესადგენად. გამგეობა ქალაქის საბჭოს დარბაზში მოიწოდებს ასეთ ქალებს ამა ენკენისთვის 12 რიცხვიდან: კვირაობით დილის 11—12 საათამდის და ოთხშაბათობით და პარასკეობით საღამოს 5—6 საათამდე. (3—69—1)

ტფილისი, 18 სექტემბერი

რედაქციის სასტიკი ხელი ჩვენს დროში ახალი ამბავი არავისთვის არ არის. უმაღლეს ცენტრალურ დაწესებულებიდან მოკიდებული უმდაბლეს მოხელეებამდე—ყველანი თავ-დავიწყებით ეჯიბრებიან ერთმანეთს გამაბრუებელ სარეაქციო ცეკვაში, მაგრამ ისე ძლიერ და ისე ღრმად არავის არ ემცნევა ამ რეაქციის გავლენა, როგორც ჭკუისა და ცოდნის არისტოკრატიას ე. ი. ინტელიგენციას. ჩვენის დაკვირვებით კერძოდ ქართველი ინტელიგენცია განიცდის უკვე არა რეაქციას, არამედ პირდაპირ რეგრესს. საკმარისია, ერთბაშად შემოავლოთ თვალი ქართველ საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებებს, რომ დარწმუნდეთ ამ მწარე ქემმარიტების სინამდვილეში.

უძველესი და უდიდესი ქართული კულტურული დაწესებულება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ისეთს უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება, რომ გამგეობას საზოგადოკრების მოწვევაც კი ვერ მოუხერხებია. იმ სამარცხვინო ამბის შემდეგ, რომელიც წიგნების და ფულის ანგარიშის წარმოებას შეეხებოდა, გამგეობას წევრები ერთი-ერთმანეთზე ანებებენ თავს, ზოგი ნებით და ზოგი უნებურად, და ბოლოს თავს ანებებს თვით თავმჯდომარე, თითოეულად გამგეობის ყოველ წევრს კარგად ესმის, რა შეუწყნარებელი საქმეა გამგეობის წევრობაზე ხელის აღება იმ დროს, როცა სამაგიეროდ საქმეში ჩასაყენებლად კანდიდატიც კი აღარ არის დარჩენილი, მაგრამ ამისდა-მიუხედავად მაინც გაურბის საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზს. ასე იქცევინან ის ინტელიგენტები, რომელთაც ქართველმა საზოგადოებამ ჩააბარა თავისი უძვირფასესი კულტურული დაწესებულება... ეს რეაქცია არ გახლავს, ეს რეგრესია.

მეორე ქართული კულტურული დაწესებულება, სადაც ქართველ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი უნდა იყრიდეს თავს ახალგაზდობის **ასაზრდოელად ქართული გიმნაზია**— ჩვენ თვალ წინ იწყებს "დაშლას. საზარელი და საშინელი ამბავი, რომელიც ეხლახან მოხდა ამ დაწესებულებაში, შინაგან გახრწნილების და დაშლილობის სიმპტომია. როგორც გიმნაზიის დირექტორის იმ საუბრიდან სჩანს, რომელიც მას „ნოვ. რეჩ.“ თანამშრომელთან ჰქონია, ამ სასწავლებელში მუშტის კულტი დიდად გავრცელებული ყოფილა. ერთი მოწაფე თურმე რამდენჯერმე უმიზეზოდ იწევდა მასწავლებლის გასალახავად წიხადაც, მაგრამ იჭერდნენ და განზრახვის ასრულებას უშლიდნენ. ასეთი მოწაფე მხოლოდ ისეთ სასწავლებელში შეიძლება მოიპოვებოდეს, სადაც ცემა-ტყეპა და შეურაცხყოფა სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. არ უნდა დავიკიწყოთ, რომ ქართულ გიმნაზიაში ასე ველურად პატარა ბავშვებს კი არ უჭირავთ თავი, არამედ მიხდილ, 20—22 წლის ყმაწვილებს. რას და ვის უნდა მიეწეროს, ამ ახალგაზდათა წრეში მუშტის კულტის გავრცელება? რა თქმა უნდა, არა მარტო მასწავლებლების გავლენას და სკოლის დისციპლინას, არამედ აგრეთვე იმ ქართველ ინტელიგენტებს, რომელთაც თავის მაგალითით აღმზრდელებზე გაცილებით მეტი გავლენა აქვთ. და განა ეს ქართველი ინტელიგენტები უკანასკნელ წლის განმავლობაში მუშტის კულტს არ ავარჯიშებდნენ, მუშტს არა სცემდნენ პატივს?!... ქართულ გიმნაზიაში მომხდარი ინციდენტი მხოლოდ ავადმყოფობის სიმპტომია, თვით ავადმყოფობა კი ღრმად არის ჩაძარებული ჩვენის ინტელიგენციის ძვალსა და რბილში. ან უადამიანობა და უმოქმედობა და ან ეკუღმართი საქმიანობა— აი რა ახასიათებს ჩვენს დროში ქართულ კულტურულ დაწესებულებებს. ჩვენის ღრმა რწმენით, ეს გამძვინვარებულ რეაქციის ერთ-ერთი შორეული ნაყოფია, აღმოცენებული ინტელიგენციის ძვალსა და რბილში ჩანერგილ უიალაჯობის და სულიერ მებორკილების ფონზე. მაგრამ რეაქცია ამ მორალურად გამათახსირებელს გავლენას ახდენს მხოლოდ ინტელიგენციაზე და არა თვით ხალხზე, რომელიც ზნეობრივად წინანდელივით ძლიერია და მტკიცე. რეაქციის გავლენით ინტელიგენტურ წრეებში კიდევ ბევრი უკეღმართობა შეიძლება დატრიალდეს, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მაინც არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზნეობრივად დაუძლეველი ხალხი ხელახლა შეჰქმნის თავისთვის აუცილებელ ინტელიგენციას და ხელახლა გაიკაფავს გზას კულტურულ საქიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ისტორიული ჩვენი სენის ბრალია, თუ თანამედროვე ჩვენის პოლიტიკურ მდგომარეობისა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩვენ, ქართველები, ყოველგან და ყველაფერში ჩამორჩენილნი ვართ. ჩვენთვის თითქოს არც კონგრესები არსებობენ, არც მსოფლიო კრებები, არც საერთაშორისო ურთიერთობა და არც ათასი სხვა ასეთი რამ, რომელთა საშუალებითაც შეგვეძლოს ქვეყნიერობას გავაცნოთ ჩვენი, **ქართველების** ნამდვილი ყოფაცხოვრება და მით რაიმე ადგილი დავიჭიროთ საერთაშორისო, საკაცობრიო ფერხულში.

რამდენ მსოფლიო გამოფენას, რამდენ საერთაშორისო კონგრესსა თუ კრებას ჩაუვლია ისე რომ ჩვენ, ქართველებს, არც კი შეგვიტყვია, არამც თუ გაგვეგზავნოს ჩვენი წარმომადგენელი და ჩვენც ჩვენებური საერთაშორისო ურთიერთობის დამამყარებელი და განმამტკიცებელი ხმა ამოგვეღოს.

მართალია, ათასში ერთხელ ჩვენებიც დასწრებიან ხოლმე საერთაშორისო სოციალისტურ, თუ არა სოციალისტურ კრებებს, მაგრამ იქ ჩვენიანებს ან **სხვისი** სახელით ულაპარაკიათ, ან და ისეთი მცირე და მოუმზადებელი ყოფილა იქ დამსწრე ქართველთა რიცხვი, რომ სხვა, წარჩინებულ ქვეყნების წარმომადგენელთ ან სულ დაუჭრიდილავთ იგინი, ან დაყურადღებაც არ მიუქცევიათ.

ჩვენ მარტო **შინა** ვართ ყოჩაღები, „ოთოთაანთ ქორივით“, მარტო შინაურებს დავერევით ხოლმე და ერთმანეთს ღვთის წყალობა რომ ვუთხრათ, ღვთის რისხვა გვგონია.

დიახ „ჰკა შინაურებს, თორემ გარეულები სად წაგივაო“ დაცინვით რომ იტყვიან, სწორედ ჩვენზე, ქართველებზე, ითქმის. სამაგიეროდ, ასე არ იქცევიან ჩვენი მეზობელი—სომხები. არც ერთი მსოფლიო კრება, არც ერთი თვალსაჩინო მოვლენა ისე არ ჩაივლის, რომ სომხებმა თავისი წარმომადგენელი არ გაგზავნონ, თავისი ხმა არ აიმაღლონ და საერთაშორისო უფლების ძალით არ მოითხოვონ თვისი ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

იმ დროს როდესაც ჩვენ ერთმანეთს თავ-პირს ვამტვრევთ თუნდა ამისთანა კითხვების გარჩევის დროს როგორც არის მაგალითად, „რომელი უფრო წინად გაჩნდა: კვერცხი, თუ ქათამიო“, სომხების მეცნიერნი, საზოგადო მოღვაწენი, პუბლიცისტები თუ სოციალოგები მთელ ქვეყანას უვლიან და სისტემატიურად, წინდაწინვე განზრახულ გეგმით აცნობენ ქვეყანას თავისს სამშობლოს, მის წარსულს და აწმყოს, მისს მისწრაფებათა და იდეალებს, მის სულის-კვეთებათა და მერმისს.

აკი მათ მთელი ქვეყანაც იცნობს. რომელი თვალსაჩინო ქალაქი გნებავთ სამზღვარ-გარედ თუ რუსეთში, რომ სომხები, სომხის საზოგადოება არ მოღვაწეობდეს, სამშობლოდან გასული სომხები არ აცნობდნენ იქაურებს თავის ვინაობასა და იდეალებს. ექვი არ არის, სომხის ხალხის ასეთ გაფანტულობას თავისი ისტორიული მიზეზები აქვს, ისე როგორც ებრაელთა გაფანტულობას, მაგრამ, მას შემდეგ რაც საერთაშორისო ურთიერთობა აღორძინდა, ყველა ჩვენთაგანს შეუძლია შინაურ კარჩაკეტილობას ადვილად მოუღოს ბოლო და ქვეყანას ამცნოს თავისი ვინაობაც, მაგრამ... სწორედ ამ „მაგრამას“ ბრალია, რომ კავკასიის ქედის იქითაც კი ვერ გვაცნობენ და რუსეთში გაფანტული ჩვენი ყმაწვილკაცობა რუსებს ან უარია ჰგონიათ და ან სომეხი.

საქართველო და ქართველები არამც თუ ევროპიელებს, თვით რუსებსაც კი, ზღაპარი და საზღაპრო ხალხი ჰგონიათ... ასეა, თუ ისე, კავკასიის ხალხთა შორის ყველაზე ცნობილი ხალხი ევროპისა და სხვა კულტურულ სახელმწიფოთათვის ისევ სომხები არიან და სომხის ერიც ამისათვის უნდა უმადლოდეს თავის მამულიშვილებს, ვინაიდან თავის ერისა და სამშობლოს მოსაყვარულე მამულიშვილები არც ერთ შემთხვევას არ უმვებენ, რომ ევროპას თვისი თავი არ გააცნონ და თავის ვაშკაცობაზე არ მიუთითონ, ამ დროსაც-კი, როდესაც შეიძლება სხვამ უფრო ბევრი სისხლიც დაღვარა და საერთა შორისო საქმეს თავისი ვინაობაც კი ანაცვალა.

აი, სხვათა შორის რასა სწერს გაზეთი „საქმე“.

სომხის „დაშნაკცუტუნის“ პარტიის თავის ჩვეულებრივ გზას—ტრაბახს განაგრძობს. კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე წარდგენილ მოხსენებაში ის აცხადებს: სპარსეთის რევოლიუციის მეთაურები ჩვენ ვართო და ეფრემს იმოწმებს,—სპარსეთი დეზპოტისაგან იხსნაო.

ვინც ეცნობოდა ჩვენს გაზეთებში დაბეჭდილ კონგრესპონდენციებს სპარსეთის რევოლიუციის შესახებ, მან კარგათ იცის, **რომ არც თავრიზში და არც რეშტისა და მთელი გილანის პროვინციის აჯანყებაში „დაშნაკცუტიუნის“ პარტიას არავითარი ხელმძღვანელობა არ უკისრნია. პირიქით, ხელსაც უშლიდა** (ბაზს ჩვენ ვეუბნებოთ) რევოლუციის აჯანყებას, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა მოაწყო.

მაშ, რით იქებენ თავს დაშნაკცუტიუნები?

როცა თეირანი დაეცა, უმთავრესათ პარტიათა თავგამოდებით, ეფრემმა პოლიციელობა იკისრა—აი, „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის „დეგაწლი“. პოლიციის მიზანია არსებული მთავრობის გაბატონება და ამიტომაც იყო, ეფრემი სეპეზდარებსა და სარდარ-ასადებს იგავდა ამოძრავებული დემოკრატიის საწინააღმდეგოთ. ფიდაიების განადგურებით მან სპარსეთის რევოლიუციაც შემუსრა და კონტრ-რევოლიუცია აამოძრავა.

ასეთია ყოველთვის რევოლიუციონერთა მთავრობის ჯოგში გათქვეფის შედეგი.

აქედან, აქედან უკიჟინეთ, ბატონებო. სხვა რაღა დაგრჩენიათ! მაგრამ ჩვენ ხომ სუყოველთვის **სხვის** იმედითა ვცხოვრობთ და, შეიძლება ამ სხვამ დაიფასოს თქვენი ვაჟკაცობა.

მაშ, ელოდეთ!..

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ

სარატოგა. რუზველტის რჩევით რესპუბლიკანელებმა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორად ამოირჩიეს სტიმსონი, რომელიც ცნობილია, როგორ შაქრის მექარხნეთა ტრესტების მდევნელი.

ბერლინი. არეულობით მოცული უბანი მოაბიტა მთლად მოწყვეტილია. ამ უბანში მხოლოდ იმაი უშვებენ, ვინც დამამტკიცებელ საბუთებს წარუდგენს, რომ აქა სცხოვრობს. ნაბრძანებია, რომ ფანჯრები დაკეტილი ჰქონდეთ. ხუთ ადგილას მაინც მოხდა შეტაკება. რამდენიმე კაცი დაიჭრა, რამდენიმე დაატუსაღეს. პოლიციელებს ფარნები დაურიგეს. საღამოს ათ საათზე ხალხმა მოაბიტოს სიღრმეში დაიწია და ქვის სროლა დაიწყო. პოლიციელები ხმლებით დაერივნენ. ბევრი დაიჭრა, ზოგი-მძიმედ. ბევრი ცხენების ფეხქვეშ გათელეს. მოაბიტის საავადმყოფოში ღამით 20 დაჭრილი მიიყვანეს. ხალხმაც რამდენჯერმე ისროლა, მაგრამ უნაყოფოდ.

თეირანი. შვეიცარიიდან ნასრულმულკას რეგენტობაზე თანხმობის დებეშა მოვიდა. თეირანში ჩამოსვლა შვილის ავადმყოფობისა გამო გადაუდვია.

მაზანდერანში ამბოხება მატულობს სეპეხდარისა და ემორ-მუკერრების მიწერ-მოწერა ჩაიგდეს ხელში. მთავრობას თოფის პატრონი აკლია.

ბერლინი. რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელი, რომელიც „დეილი მეილის“ თანამშრომელთან ერთად, საღამოს შეტაკებას თვალყურს ადევნებდა და ავტომობილით მიმოდიოდა, ხმლით დასჭრეს ორივე ხელში. მასთან ორი ამერიკელი ჟურნალისტიც იყო. ესენი აგიტატორები ეგონათ.

ბაზელში აფეთქდა ყუთში ჩადებული ყუმბარა. რკინის გზის ორი მოსამსახურე მძიმედ დაიჭრა. ყუთის პატრონი რუსი, ზაგრება, დაატუსაღეს.

ბერლინი. გუშინდელ არეულობის დროს მოაბიტის უბანში მძიმედ დაიჭრა 73 კაცი. ხუთი საავადმყოფოში გაისტუმრეს—სადაცა ახლა 22 დაჭრილია. ყველა შეპყრობილი, 5 გარდა, ვინაობის გამორკვევის შემდეგ, გაანთავისუფლეს.

პარიზი. ჰავასის ცნობებით, მონასტირის მდგომარეობა აუწერელია მას მერე, რაც ადგილობრივ მცხოვრებლებს იარაღი აჰყარეს: ჯარი ძალმომრეობას ხმარობს, სახლებსა სწვავს. ქრისტიანები ღელავენ.

სტამბოლი. ოფიციალური „ტანინი“ აღნიშნავს იმ ინტრიგებს, რომლის საშუალებითაც ჰსურთ ოსმალეთი საფრანგეთსა და რუსეთს წაჰკიდონ. მაგალითად, განგებ გაავრცელეს ხმა, ვითომც ჩუსეთმა პროტესტი განაცხადა მორფორის გამაგრების, ოსმალეთის ფლოტის შავ-ზღვაზე მოსვლისა და სამსუნ-სივასის რკინის გზის გაყვანის წინააღმდეგო. „ტანინი“ აღნიშნავს რა ოსმალეთის რუსეთთან მეგობრულ განწყობილებას, დასძენს, რომ მთავრობას სამსუნ-სივასის გზას ამიტომ აშენებს, რომ ხელ-საყრელია, ბასფორის გამაგრება-კი დამოუკიდებელ ოსმალეთის სრული უფლებაა, მით უმეტეს რომ ყველა ხალხი შეიარაღებული მშვიდობიანობას იცავს. ამ ციხის გამაგრება მარტოოდენ თავის დაცვის სურვილით არის გამოწვეული.

ბერლინი. გამოირკვა, რომ სამშაბათს დატუსაღებულ თორმეტ კაციდან, რომელიც აქეზებდა ხალხს, 9 სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელოსანთა კავშირის წევრია. ამათგან სამი—სოციალ-დემოკრატიულ საარჩევნო კავშირის წევრია, ხოლო ხუთი—მაღაროს გაფრცული მუშა.

ფრანგეთი.

პეტერბურგი. ცუდი ამინდებისა გამო დღეს არავინ აფრენილა.

ყაზანი. ავიატორი ვასილევიჩი ბლერიოს საფრენით, 820 ადლის სიმაღლეზე ავიდა და 22 წუთით ჰაერში გაჩერდა. კობუროვი 240 ადლის სიმაღლეზე 90 წუთს გაჩერდა,

რუსეთი

ბალახანა. სოფელ გოროდეცში გახსნეს პროგიმნაზია. ეს მთელს მაზრაში პირველი პროგიმნაზიაა.

ეკატერინოსლავი. მეწისქვილეთა კრებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სრულიად რუსეთის მეწისქვილეთ ბანკის დასაარსებლად.

რიგა. ღამე, ნავთსადგურში შესვლისას, შლამში ჩაეფლო ნაღმოსანი „უსურეტი“.

ხარბინი. შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრმა დეკინსონმა პეკინიდან გამოიარა და ევროპისკენ გაემართა.

ნოვი-მარგელანი. მოჰკლეს და გაძარცვეს პოზნანსკის რწმუნებული დრაპკინი. წაიღეს 50,000 მანათი. გატაცებულ ფულის ნახევარი უპოვნეს სამ შეპყრობილ მძარცველ'.

ჩელიაბინსკი. მიასის ფოსტის მძარცველმა კლინინმა მოჰკლა ციხის ერთი ზედამხედველი, მეორე მძიმედ დასჭრა, და კამერაში შეიკეტა. პროკურორის მოსვლის დროს დაჭნებდა.

პეტერბურგი. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა თავ. ლიუბეკის საკასაციო საჩივარი. ლიუბეკის ქ. პინსკში, 19 ივლისს წარ ოთქმულ სიტყვის გამო ორის წლით საპყრობილე ჰქონდა გადაწყვეტილი.

ხოლერა.

პოლტავა. მთელი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 18 გარდაიცვალა 14.

რომი. აპულიაში ხოლერით ავათ გახდა—3, გარდაიცვალა—1.

ნეაპოლში ავად გახდა—24, გარდაიცვალა—41. პროვინციაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა—3.

პეტერბურგი. ხოლერით ავად გახდა 16, გარდაიცვალა—11. ავად არის—458.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობაში.** 16 სექტემბერს წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრთა კრება მ ჰხდა. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა 1) მომავალ წლის თებერვალში მოიწვიოს საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება და მანამდე შეადგინოს და დაბეჭდოს საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1009 და 1910 წლებში, 2) დაკმაყოფილებულ იქმნეს თხოვნა საზოგადოების სკოლების მასწავლებლებისა სახელმძღვანელოების გაგზავნის შესახებ და 3) უარი ეთქვათ თხოვნაზე უსაღსრობისა გამო რუსეთის შორეულ გუბერნიებში მყოფ ქართველებს, რომლებიც უფასოდ თხოულობდნენ ქართულ წიგნებს.

◆ **ილიასეული სახლი.** როგორც მკითხველთ იციან, ილიასეული სახლი, რომელიც ანდერძით წერა-კითხვის საზოგადოებას დარჩა, სათავად-აზნაურო ბანკში არის დაგირავებული. 16 სექტემბერს წ.-კითხვ ს გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა სახლი ბანკს მიატოვოს იმ პირობით კი, რომ მომავალ წლის მაისამდე არ გაჰყიდოს.

◆ **უფასო სამკითხველო.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე სოფ. ზემო სურებში (გურია) უფასო სამკითხველოს დაარსების შესახებ.

◆ **ილიას ძეგლი.** ილიას ძეგლი პარიზიდან უკვე ბათომში მოიტანეს. ბათუმიდან ტფილისში გადმოტანა ძეგლისა ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიანდო ალ. ბეს. მდივანს. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა სთხოვოს ხუროთ-მოძღვარ გ. ზ. ქურდიანსა და ს. მ. კლდიაშვილს შეადგინონ ძეგლის კედლის გამაგრებისა და კვარცხლბეკის დადგმის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.

◆ **სასამართლოში.** 16 სექტემბერს ტფ. პირველ სამომრიგებლო განყოფილებაში გაირჩა საქმე სტამბის მუშის ილარიონ კასაშვილისა და სტამბის პატრონ ქრ. გრ. ხაჩატუროვისა. კასაშვილი უჩიოდა ხაჩატუროვს, 6 წლის სამსახურის შემდეგ სრულიად უმიზეზოდ დამითხოვა და ამიტომ სამის თვის ჯამაგირი უნდა მომცესო. 17 სექტემბერს, მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი, რომლის ძალითაც ხაჩატუროვმა უნდა კადაიხადოს კასაშვილის სასარგებლოდ 236 მ. 25 კ. და აგრეთვე სასამართლოს ხარჯი—16 მანეთი.

◆ **ქალაქის მოურავის არჩევნები.** ორშაბათს, 20 სექტემბერს ქალაქის მოურავის არჩევნები მოჰხდება. გვთხოვენ გაცნობოთ, რომ სიმართლეს მოკლებულია ტფ. ერთს გაზეთის მიერ გავრცელებული ხმები, ვითომ არჩევნებზე დასწრება ხალხს მხოლოდ ბილეთებით შეეძლება.

◆ **ქართული კლუბი.** როგორც მკითხველთ უწყიან, მიმდინარე წლის 25 იანვარს ქართული კლუბი უნდა დაარსებულიყო, მაგრამ დღემდე კლუბის შესახებ არა ისმის რა. ამიტომ კლუბის ზოგიერთ წევრს, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, განუზრახავს სასამართლოს შემწეობით დაიბრუნონ თავიანთი საწევრო ფული (10 მან.)

◆ **ქუთაისის ქალაქის არჩევნების შედეგი.** არჩეულ იქმნენ პროგრესისტების სიიდან: ზდანოვიჩი გ. ფ.; საყვარელიძე ა. ს. (ნაფიცი ვექ.); ავალიანი დ. ნ. (ქალაქ. გამგ. მდივანი); აბდუშელიშვილი დ. ნ. (ნოტარიუსი); ასათიანი ტიხონი; ავსარჭისოვი ი. პ. (ინჟ.); აბულაძე ვ. ნ. (მსაჯული); ანჯაფარიძე ი. გ. (ნოტარიუსი); ბახტაძე ს. ლ. (ვექილი); ბადრიძე გ. ი. (ექიმი); ბარათაშვილი გრ. სოლ. (ნაფ. ვექ.); ბარაბაძე ნესტორ (ვაჭარი); ბოკერია ი. დ. (ექიმი); გველესიანი გ. ი. (ქალ. გამგ. ყოფილი წევრი); გოცირიძე კ. რ.; დარახველიძე მიხ. ერ. (ვექ.); დათეშიძე რ. კ. (ბანკის დირექტორი); კემულარია ი. გრ. (ვაჭარი); კოკოჩევი ლ. პ. (პროვიზორი); მდივანი დ. ვას. (ნაფ. ვექ.); მიქელაძე სამ. გ. (იურისტი); მაჭავარიანი ზაქ. კოც. (ვექ.); ნასარიძე გრიგ. დავ. (ექიმი); ნაზაროვი დიმიტ. ან. (ექიმი); რუხაძე მიხნიკ. (ვაჭარი); ტყეშელაშვილი გიორგი (ვაჭარი); ფანცხავა იაკობ (გამგეობ. წევრი); ფილიპოვი ფინ. ს. (ვაჭარი); ჩიქოვანი ილ. მან.; ჩინჩალაძე მიხ. ომ.; ჩარკვიანი აბეს. რომ; შარაშიძე ალ. დავ. (აგრონომ.); ქიქოძე მოსე ათ. (ნაფ. ვექილი); ქორქაშვილი გიორგი ლევ. (ექიმი); ხეჩინოვი სემ. ივ. (ექიმი). სხვა სიებიდან: ლორთქიფანიძე ს. ნ.;

ჩემი სონეტი

* * *

ლრუბლის ნაგლეჯით ცას წაგრაგნულს ისრით ვსერავდი,
არ დავემონე ჯოჯოხეთის მძაფრსა ქარტეხილს;
ჩანგს ჟანგ-მოდებულს ნათელ ოქროს სხივით ვფერავდი,
ნიავთან ერთად მეც ვარხევდი ოცნების ხეხილს.

* * *

ჯერ არ ვიცნობდი... და ვით აჩრდილს ხშირად ვხედავდი,
ჩემს ჰუსიკის ჰიმნს არ სწყალობდა, ისმენდა მხოლოდ,
ყვავილებს ვკრებდი კალმის წვერით, გვირგვინს ვუწნავდი,
წალკოტი დამრჩა გაძარცული, მთლად უფოთოლოდ.

* * *

ვნახე სიზმარი საფლავს ვიწექ და სატრფო მკვდარი
კუბოს მირეკდა:—„ტუკ, ტუკ, მტრედო, გამიღე კარი!“—
წამოვიწიე, ველარ აღვსდეგ... და მწუხრი-ბინდი
ყურს ჩამსძახოდა, ვით დემონი განრისხებული:
„ნუ მიენდობი, ჩემო კარგო, ქალისა გული
ცვალებადია ვით გიჟმაჟი მარტის ამინდი!“

ი. გრიშაშვილი.

სამსონის თმები

ძღვნად მარსიალ ფუასსის.

თავი

3

გოგლოს აღარ დაუცდია მთვარის ამოსვლისათვის.

უკვე ნახული ჰქონდა მთვარის შუქზე აქათქათებული ზღვა.

მიბნედილი სხვები ნაზად რომ გადაებნევა და თავის ნამდვილ სახეს სადღაც შორეულ ჭავლში გამოაჩენს ხოლმე.

ის მიეჩქარებოდა უფრო სხვა მთვარისაკენ, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ამოცურდა გოგლოს ცხოვრების ცის კიდურზე.

გოგლოსაც ვერ მოეშორებინა მისი გული და გრძნობა ამ ახალის მნათობისათვის.

იგი იყო მისი გზად-მყვანი, მისი მასულდგმულებელი.

მისთვის ფსალმუნებდა მუსიკა, მისთვის იფურჩქნებოდა ყვავილი, თრთოდა ეთერი, სტვენდა იადონი, მდუმარებდა ტყის სიხშირე, ფრთოსნავდა ზღვა. მისთვის სცოცხლებდა ყოველივე, მისთვისვე კვდებოდა ყოვლი არსი

გოგლოს გულსა და გრძნობაში.

გოგლოს ქნარი და კალამი ეს ერთი ხანია ამ სხიოსანს უტრიალებდა გარშემო და უცხო რამ ჩარჩოს გალობისა და ბგერისას ქმნოდა განუწყვეტლივ.

ეს იყო ისეთი ტკბილი ბურანი, როდესაც თითქო არასა გრძნობ, მაგრამ სავსებით ცოცხლებ კი ნეტარის სიჩქარითა.

და მთვრალი იყო გოგლო ამ ახალი მთვარის ეშხით, მისი იერითა.

ხოლო მთვარე იყო გაბადრული, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო სავსე.

მისი ახალგაზდა გულ-მკერდი ზედ დადენილ წყლის წვეთებს ჯერ კიდევ არ აჩერებდა.

მისი სულ-თქმა ჯერ კიდევ ყვავილთ მფშვინვარება იყო.

მისი ბაგე-პირი ჯერ კიდევ მეწამული კარები იყო სამოთხისა.

და მისი გამოხედვა?

ოო, მისი თვალები!

ეს კი ზღვა იყო. ზღვა ვნებისა და გულის თქმისა. ზღვა მიბნედილი, ზღვა გამოუცნობი.

მხოლოდ გოგლოს კი ბევრს ჰპირდებოდნენ ეს თვალები: „სიკოცხლეს და ნეტარებას“, ცად-ამყვანფრთებს შემოქმედებისას.

გოგლოც მიისწრაფებოდა ამ ფრთებისკენ, ამ მნათობისკენ.

ისინი თითქო ორ სიტყვაზედვე მიუხვდნენ ერთმანეთს. მიხვდენ, რომ ერთი-მეორისათვის იყვნენ ვაჩენილნი და... ეგრე დასდეს კიდეც პირობა: ვიყოთ ერთადაო.

უღრუბლო იყო შედეგი მათის გადაწყვეტილებისა.

ანიკოს ბშობლები თანახმანი იყვნენ, გოგლოს ჭირისუფალნიც გახარებულნი. საზოგადოების აზრიც ტაშს უკრავდა და ნათლიდედების ენებიც არ სიქსიქებენ.

ოჰ, რა ბედნიერი იყო გოგლო.

რა ბედნიერი ანიკო.

მხოლოდ არ ჩქარობდნენ შეერთებას.

ეწნდოდათ, რომ ეს ბედნიერი ხანი თრთოლვა-კრთომისა კიდევ უფრო ხანგრძლივი ყოფილიყო. თუმცა განა კი სწამდათ, რომ შეუღლების შემდეგაც მათი ნეტარება დაუსრულდებოდა.

არა, ამის ფიქრიც კი შეგინება იქმნებოდა მათის უზადო სიყვარულისა.

მაგრამ ჯერ მაინც არ ჩქარობდნენ.

ეს როგორლაც თავის თავად ხდებოდა.

გოგლო გატაცებული უზენაეს გრძნობით დადიოდა მთა და ბარზე და ფუტკარივით საუკეთესო სანახობათაგან, ბუნებისა თუ ადამიანთა ცხოვრებისა, გამოჰქონდა უმშვენიერესი თაფლი შემოქმედებისა.

მისი მოგრძოთ ჩამოჭრილი ქაღალდის ფარატინები ივსებოდა სხვა და სხვა კეკლუც და მოხდენილ ნაგრძნობებითა.

და არასოდეს არ ყოფილა ესე ძლიერი მისი შემოქმედება, როგორც ამ დროს.

არც არასოდეს არ ყოფილა ესე ნაყოფიერი, როგორც ამ ჟამად.

გოგლო თითქო ჩქარობდა, ეშურებოდა ზამთარ მოახლოებულ მეოჯახე კაცივით—რაც რამ მონაგარია, ბარემ დროით შევაგროვო, გარედ არ დამრჩეს-რაო.

ეშურებოდა, მაგრამ თვით კი ვერ ამჩნევდა ამ სიჩქარეს.

იგი მხოლოდ სიამოვნებას გრძნობდა თვისი ესეთ უხვის შემოქმედებითა.

იგი აზროვნებდა, იგი თხზავდა, იგი ცოცხლებდა.

უყვარდა და უყვარდათ.

იმაზე ბედნიერი კიდევ იყო სხვა ვინმე?!

აი ეხლაც ნაზღვაურზე, ანიკოსკენ მიმავალს აგიჟებს თვისი ბედნიერება:

— ეს ნამეტანია, ეს დაუჯერებელია, რომ ქვეყნად ასე ბედნიერი იყოს კაცი! მაგრამ ეს ხომ სინამდვილე არის! მაშ რად იტანჯებიან სხვები, რად არსებობს ქვეყნად ამდენი უსამართლობა, ამდენი ჩაგვრა, ძალ-მომრეობა? რად არ არიან სხვები ბედნიერნი? იმიტომ, რომ ისინი სხვები არიან, თორემ ქვეყანა ასე მშვენიერია, ბუნება ეგრე დიდებული, სიყვარული ეგეთი დიადი რამ ნიჭი არის და შემოქმედება კიდევ ესეთი საზენაო მადლი! ანიკო კიდევ ესე მშვენიერია, თვითონ ეგრე ახალგაზდა! ბედნიერი ვარ, ბედნიერი, სრული ბედნიერი.

გიჟობდა რაღაც მხურვალე აზრი გოგლოს შეგნებისა და საშინელს, გიჟურს ბუქნას უვლიდა მის გულსა და გრძნობაში.

ზღვამ კარგა ფართო კვალი დაუტოვა ნაგრძნობებისა.

ზღვის ფერიაო!

ცეკვავდნენ მის გონებაში პაწია ალ-ქაჯები.

მაგრამ ანიკოს გახსენებაზე ერთ უცხო ნაკვთად ერთდებოდნენ ზღვის სიღრმე და განუზომელობა, ტყის საიდუმლოება და მინდვრის ყვავილთა თაიგული, კლდის ნატიფობა და ცეცხლის ძალა და მხურვალება.

გამოუქროლეს ძველმა ფერიებმა: აგერ კესო, ოლიკო, ცაბულო, ნარო, ეხლა ანიკო.

ღიმილი წასცდა ჭაბუკის სახეს.

— ამ სახელების მეთაური ანბანები რომ აიღო „კოცნა“ გამოვა. ჩემი ცხოვრების კოცნის უკანასკნელი ანბანიც ანიკოა.

— უკანასკნელიც და პირველიც: „ა“—ნია.

— ეს რა კაბალისტიკაა!

კიდევ გაეღიმა გოგლოს. მაგრამ ცოტა ხხით ისევ ძველმა ფერიებმა დაიპყრეს გოგლოს მოგონება.

— ისინი ცალ-ცალკე ნაქვთნი იყვნენ. მშვენიერი და გამტაცებელი მაგრამ დამპყრობი კი ვერა. მათ გამაცნეს დიდებული სურათები, მაგრამ ერთად კი ვერ გადმოშალეს მთელი სიდიადე სამყაროსი. ისინი პირველი სხვები იყვნენ, რომელთაგანაც შემდეგ შეიქედა ერთი ოქროს გვირგვინი ჩემი ანიკო... ჰმ... ჩემი... ეს სინამდვილე... ღმერთო!...

და გოგლომ გაუჩქარა ნაბიჯს.

თავი.

ზ.

— კიდევ მითხარი, კიდევ, რომ გიყვარვარ.. ასჯერ, ათასჯერ, განუწყვეტლივ... სულ ეგ მასმინე. მაგას თავს დღეში არ მოვიწყენ. „სულ გახსოვდე, სულ გიყვარდე!“

ნიჟარაძე დ. ო.; გაბუნია ფარნა (ვაჭარი); ბოკერია სამს. (ვექილი); მღავრიშვილი ფედ. (მასწავლებელი): პურადოვი ი. ის.; ცაგარეიშვილი (მასწავ.); მოსეშვილი ბათღიმე და გაბადაძე (სასამართლოს ბოქაული).

✦ ხოლერიანთა რიცხვი. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 15 სექტემბრის დილის 9 საათიდან 17 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით არავინ გამხდარა ავად ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 1 ავადმყოფი, ახლა არის—1.

✦ ქართული კაპეიკიანი გაზეთი. ქართველ წიგნების გამომცემელთა ერთს ჯგუფს გადაუწყვეტია გამოსცეს ტფილისში ქართული კაპეიკიანი გაზეთი.

✦ ქართულ თეატრში. წარმოდგენების მართვა ქართულს თეატრში წელს 26 სნქტემბერს იწყება.

✦ რუსული სათეატრო გაზეთი. ეიხენვალდისა, ნიკულინისა და ნაზარიანცის თაოსნობით ტფილისში არსდება ყოველ დღიური სათეატრო გაზეთი „თეატრი და მუსიკა“. პირველი ნომერი გაზეთისა გამოვა 18 სექტემბერს.

✦ თავ. ჩერქეზიშვილის ძეგლი. ქალაქის გამგეობამ დაავალა ინჟენერს კოგნოვიცკის შეადგინოს პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ძეგლისა, რომელიც ქალაქმა უნდა დაადგას განსვენებულ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის საფლავს.

✦ ფრინველთა მომშენებელ საზოგადოებაში. ფრინველთა მომშენებელმა ტფ. საზოგადოებამ დაადგინა გამართოს მეოთხე მორიგი გამოფენა ფრინველებისა. გამოფენა 17-დან 22 ოქტომბრამდე გასტანს.

✦ უძრავ ქონებათა შეფასება. ტფ. ქალაქის უძრავ ქონებათა შემფასებელნი უკვე ამთავრებენ ქონებათა შეფასებას ქალაქის მეათე უბანში და ამ დღეებში შეუდგებიან ქონებათა შეფასებას მეცხრე უბანში.

✦ სტიპენდიების განაწილება. ტფ. სოკომერციო სასწავლებელში უკვე განაწილებულ იქმნა მოსწავლეთაშორის თავ. ჩერქეზიშვილისა, მ. ო. ფიშერისა და ტფ. ვაჭართა საზოგადოების სტიპენდიები. პირველი სტიპენდია მიეცა მოსწავლეს გიორგი ერმიშევს, მეორე—ლევან კეცხოველს და მესამე—რუბენ საფაროვს.

✦ სასმელ წყალის გამოკვლევა. ქალაქის წყალ-საყვანის უკანასკნელმა გამოკვლევამ აღოაჩინა, რომ ამ ჟამად სასმელ წყალში აღარ მოიპოვება ხოლერის ვიბრიონები, არის მხოლოდ ხოლერის მსგავსი, უვნებელი ვიბრიონები.

✦ თავად ა. დადეშქელიანის მოკვლის გამო. გამომძიებელს უკვე დაუსრულებია ქუთაისში თავ. ა. დადეშქელიანის მოკლულის საქმე. პასუხის გებაში თურმე აძლევენ, სხვათა შორის, მოკვლის მეუღლეს, რომელიც ამ ჟამად თავდებით არის განთავისუფლებული, უგანათლებულეს თავ. უჩა დადიანს და სხვებს.

✦ ხოლერა ამიერ კავკასიაში. ტფილისის გუბერნიაში: 30 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე ხოლერით ავად გახდა 13 კაცი, გარდაიცვალა—4. ქუთაისის გუბერნიაში: 15 სექტემბერს ავად ვახდა—1, გარდაიცვალა—1. ყარსში: 15 სექტემბერს ავად გახდა—3, გარდაიცვალა—2, 16 სექტემბერს გარდაიცვალა—1. ყარსის ოლქში (დამატებით 8-დან 14 სექტემბრამდე) ავად გახდა—2, გარდაიცვალა—2, ერევანში: 13 და 14 სექტემბერს ავად გახდა—2, გარდაიცვალა—1. ერევნის გუბერნიაში: 13 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდაიცვალა—3. დაღესტანის ოლქში: 10-დან 14 სექტემბრამდე ავად გახდა—30, გარდაიცვალა—15. ბაქოს საგრადანაჩინნიკოში: 10 და 11 სექტემბერს ავად გახდა—8, გარდაიცვალა 1.

✦ საზოგადო კლუბში. დღეს, საღამოს 8 საათზე ტფ. საზოგადო კლუბში, ზაფხულის შემდეგ პირველი საღამო გაიმართება. წავითხული იქმნება მოხსენება ტფილისში ხალხთა ერთობის საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ. ამის შემდეგ იაიმართება ბაასი საზოგადო თემებზე და ბოლოს საელიტერატურო და სამუსიკო განყოფილება.

✦ სამართალში მიცემა. ტფ. ქალაქის გამგეობა სამართალში აძლევს ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების მთელს გამგეობას, რადგან საზოგადოების სახლები მეხუთე, მერვე და მეცხრე უბანში ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

✦ საჩივარი. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ტფ. გუბერნატორთან საჩივარი აღძრა ქალაქის მე-12 უბნის ბოქაულ ბაჩურინზე, რომელმაც ამ ერთის კვირის წინად ღამით საბაღოსნო სასწავლებლის სადგომი და ეზო გაჩხრიკა და სასწავლებლის ზედამხედველი ბ-ნი მელია დააპატიმრა.

✦ ქართულ თეატრის დათვალიერება. ამ დღეებში ტფ. საგუბერნიო სამმართველოს ტეხნიკოსებმა და პოლიციისა და ცეცხლის მქრობელ რაზმის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ქართულ თეატრის მთელი შენობა. ამ კომისიის შემოწმებით, თეატრი ცეცხლის მხრივ სრულიად უშიშარი აღმოჩნდა.

✦ ს. მეჯვრისხევიდან გვწერენ. სექტემბრის პირველ რიცხვებიდან გამუდმებული წვიმებია და ისე აცივდა, რომ ყურძენი არ დაგვიმწიფდება. წელს ღვინის მოსავალი მცირე გვექნება.

✦ არჩევნები გორში. 7 ნოემბერს მოჰხდება გორის ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები. გორის ქალაქის ოლქიანმა უკვე წარუდგინა ტფ. გუბერნატორს ამომრჩეველთა სია დასამტკიცებლად.

✦ ჟურნალი „ჯეჯილი“. რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“ს მე-7 და 8 ნომერი. ჟურნალი ჩვეულებრივ სუფთად და საინტერესოდ არის შედგენილი. შინაარსი:

ზარმაცი, სურათი. თამროს განკურნება, დ. თურდოსპირელისა. პატარა ზღაპარი, სბერესენისა. ახალგაზრდა მონადირე, შვედური ზღაპარი. შრომაშია ბედნიერება, თარგმანი ასათიანი-ჩეკურიშვილისა. ლექსი, ვ. რუხაძისა. დარაჯი ბათუ, ამბავი ბ. გელასი. ჩანჩქარი, ლექსი ანნა გარეკახელისა. იასამანმა როგორ მოიხსნა ვაშლი, (თარგმანი) პურასი. არწივის ფიქრები, (ბოგდანოვისა) თარგმანი ან. წერეთლისა. პატარა გმირი, ც. გულხანდანიანისა სომხურიდან თარგმანი ვ. კ—ნისა. პუსსეიმ როგორი დიდი თევზი დიჭირა, თარგმანი. პატარა ამბავი სურათზედ დაწერილი, პალიკო ბეშკანაძისაგან. ტყვე არწივი, გ. ქუჩიშვილისა. ბიძიას ნაამბობი, ბავშვების ცხოვრებიდან ალ. ნათაძესი. თავი-კერძა დევი, ოსკარ უაილდის ზღაპარი თარგ. ან. წერეთლისა. გიორგი ივანეს-ძე ნატრაძე, ნეკროლოგი. ცხელი ქვეყნების გველები, ალ. ჭიჭინაძესი. ნატალია გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება. სებასტიან გომეცი, თარგმანი ან. წერეთლისა, შესანიშნავი ქვეყანა: მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაში (შემდეგი იქნება). საქართველოს ისტორია, შედგენილი ს. გორგაძისა.

✦ „ესპერანტო“. დღეს პირველ გიმნაზიის სადგომში იწყება საერთაშორისო ენის „ესპერანტო“ს შესასწავლი კურსები.

✦ ტფ. ქალაქის მეორე უბნის ბოქაულის დროებით თანაშემწე ტერ-მარტიროზოვი სომხურიდან იქმნა დათხოვნილი.

✦ 16 სექტემბერს საერთო ხხრეკა დაპატიმრების დროს ბოდიციამ ტფილისში შეიპყრო 79 უბასმორტო.

ფინლანდიის საგანგებო სეიმი

10 სექტემბერს დაიწყო ფინლანდიის საგანგებოდ მოწვეული სეიმის პირველი კრება.

დარბაზი სავსე იყო დეპუტატებით, კულუარები და ლოჟები-კი გარეშე ხალხითა და ჟურნალისტებით. 2 ს. და 20 წ. ტალმანმა სვინხუვდმა კრება გახსნა და წაუკითხა უმაღლესი ღრამატა.

ტალმანის განმარტება.

უმაღლეს ღრამატის წაკითხვის შემდეგ ტალმანმა განაცხადა: „17 ოქტომბრის კანონს არავითარი ძალა არა აქვს ფინლანდიაში. ამ კანონის განზრახვაა ფინლანდიას წაართვას კანონმდებლობითი უფლებანი, რომელიც საუკუნოებრივ განმტკიცებულია ფინლანდიაში. 17 ოქტომბრის კანონი არღვევს ფინლანდიის კონსტიტუციის ძირითად კანონებს. მით უმეტეს, რომ 17 ოქტომბრის კანონი, ფინლიანდიის ძირითად კანონების თანახმად არ არის შედგენილი; იგი ეწინააღმდეგება 1772 წლისა და 1906 წლის სეიმის ფორმულებს. ამ ფორმულებით ხელმწიფე იმპერატორსა და დიდ მთავარს მხოლოდ სეიმის თანხმობით შეუძლიან გამოსცეს კანონი ფინლანდიისათვის.

ამისათვის, აშკარაა, რომ უმაღლესი ღრამატა პირდაპირი დარღვევაა ფინლანდიის კონსტიტუციისა; რუსეთის მინისტრთა საბჭოს უფლება არა აქვს რაიმე პროექტი შესთავაზოს ფინლანდიის სეიმს.

ამის გამო შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ეს პროექტი სეიმს განსახილველად გადმოვცეო.

ბარონ კრედეს სიტყვა.

არა მგონია, რომ ამ დარბაზში მოიპოვებოდეს თუნდ ერთი კაცი, რომელიც ტალმანის განცხადებას არ ემხროდესო.

ბარონი კრედე წინადადებას იძლევა მეფის ღრამატაზე სეიმის დასკვნა წერილის ფორმით გაიგზავნოს.

მეხელინის სიტყვა.

თვითონ რუსის იურისტებიც კი იმ აზრისანი არიან, რომ ეს კანონი ფინლიანდისათვის სავალდებულო არ არისო.

სანამ რუსეთში არსებული პოლიტიკური რეჟიმია, სეიმის მშვიდობიანი საქციელიც ვერას გააწყობს. ამისათვის დაგვრჩენია ისევ მედგრად ვიდგეთ და დავიცვათ ფინლანდიის კანონები.

ხიტყეა იონას კასტრენისა.
(მემარცხენე მლადიფინი)

ფინლანდიის საკითხმა, სახელმწიფო სათათბიროში გარჩევის დროს, მთელი ევროპა შესძრა იქ წარმოთქმული **finis Finlaudiael** და მეხივით მოესმა ყველას. და ელვასავით ნათელჰყო ახალ კანონის მიზანი და აზრი.

ფინლანდიის ხალხი მადლობით მოიხსენიებს იმ რუსთაგანს, რომელნიც ვეკაცურის გამბედაობით გაოესარჩლნენ ფინლიანდიას პატარა ერის უფლებებს ფინელთა გულის სიღრმიდან არ ამოიშლება რუსეთის ძლიერის ხალხის ამ ჭეშმარიტად დიდებული შვილთა ხსოვნა...

ის უფლებანი, რითაც დიდი ხანია სარგებლობს ფინლიანდიელი, ფინლიანდიაში ჯერ აკრძალული ხილია რუსის ხალხისათვის რუსეთში. რუსეთში არ არსებობს თავისუფლება კავშირებისა, კრებისა და სხ. მაშ, რუსეთის მინისტრთა საბჭო რადა სცდილობს ეს უფლებანი მიანიჭოს ფინლიანდიაში მცხოვრებ რუსებს და არა ას მილიონიან რუსეთის ხალხს?

ორატორების აზრით, სეიმმა მცირე წერილით უნდა გასცეს პასუხი ამ უმაღლეს ღრამატაზე.

— შესაძლოაო, — ათავებს იგი სიტყვას—სეიმის აზრი ახალ საბაბად გახდეს სეიმზე გამოლაშქრებისა, მაგრამ ჩვენ არ უნდა გვაფრთხობდეს დევნა, როდესაც ფინლიანდიის კულტურის მოსპობაზეა საქმე.

ნევანლინის სიტყვა
(სტარიფინ. ფრაქციის თავმჯდომარე)

— აქ წამოყენებულ წერილის გამო უნდა ვსთქვა, რომ დღევანდელ ძნელსა და სამძიმო ხანას, ხელმწიფისადმი წერილით მიმართვას უქვეშევრდომელეს ადრესის მირთმევა სჯობია.

თუ წერილის გაგზავნას გადასწყვეტთ, ადრესის მირთმევა მაინც საჭიროდ მიმაჩნია.

კოტლენი
(სოციალისტი).

უერთდება ტალმანის გადაწყვეტილებას და ფრედეს წინადადებას.

ტოკოას სიტყვა
(სოციალისტურ ფრაქციის ორატორი)

— ამ ჟამად მხოლოდ კონსტიტუციის ძირითად კანონებს ვერ დავეყრდნობით. საქმეს ღრმად უნდა ჩავხედოთ. მაგრამ, განა რუსეთმა არ იცის, რომ ფინლანდიის ერს გულწრფელადა სურს რუსეთის ხალხის სურვილს მიეგებოს? რუსის მთავრობა კი ასეთ მისწრაფებასაც უკანონო გზით გვაჩეჩებს.

და ასეთ ნიადაგზე დაყენებულ საკითხი—რუსის ნაციონალისტებს მასალას აძლევენ, რომ ფინლანდიის ხალხს არა სურს რუსეთის სამართლიან მოთხოვნილებას დაუთმოსო...

ორატორი სასტიკად ჰკიცხავს ფინლანდელ იმ ბიუროკრატებსაც, რომელნიც მონურის კუდის ქნევით ფეხქვეშ უგორდებიან რუსეთის ბიუროკრატიას.

ტალმანი აჩერებს ორატორს და შენიშვნას აძლევს.

რამდენიმე ორატორის სიტყვის შემდეგ ტალმანმა კენჭი უყარა საკითხს: ერთგულების ადრესი გაეგზავნოს, თუ საპასუხო წერილიო?

ადრესის მომხრე აღმოჩნდა 83, მას წინააღმდეგი 104.

ამ სახით ადრესი უარჰყვეს..

გაეგზავნება საპასუხო წერილი.

პატარა ფელეტონი

სულთ-მოგრვავი ხელოვნება

ცხოვრებისა და ხელოვნების ასპარეზზე უმაღლესი და უმშვენიერესი მოვლენა ის ადამიანია, რომელმაც თავისი სიცოცხლე კაცობრიობის კეთილდღეობას შესწირა, თავისი ძალ-ღონე ადამიანის განკარგებას შეალია. როცა უდიდეს მწერლების, გენიოსების ნაწერებს ვკითხულობთ, სავსებით ვგრძნობთ, რომ იმათ მთელი თავისი ფიქრი და გრძნობა, მთელი თავისი სულისა და გულის საუნჯე ამ ჩვენ ბედკრულ ქვეყანას მოაფრქვიეს ტანჯული კაცობრიობის [illegible] ბლად და გასაბედნიერებლად.

დავაკვირდეთ ახლა ჩვენი სულით ღარიბი დროის ვათარებას და იმ არამკითხე „გენიოსებს“, რომლებიც ჩვენდა გასაბედნიერებლად იღვწიან ამ წუთი სოფელში. ავიღოთ მაგალითად საფრანგეთის სახელგანთქმულ მწერლის ედმონდ როსტანის ნაწერი „შანტეკლერი“, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მოეფინა და ურიცხვი ხალხის ყურადღება მიიზიდა.

ადამიანების მაგიერ როსტანმა ფრინველები და სხვა და სხვა ცხოველები გამოიყვანა სცენაზე და ისეთი შემოქმედება გადაგვიშალა თვალწინ, რომელიც ჰგავს არა გენიოსის გულიდან ამოღებულ და მთელ ქვეყანაში გაფანტულ ძვირფას საუნჯეს, არამედ უბრალო სოფლის ქალის კალთიდან ამოღებულ და საქათმეში გაფანტულ მცირე რამ საკენკს. ამიტომაც როსტანის ნაწერს სწორედ იმდენი სიღრმე და სივრცე აქვს, რამდენიც ამ საკენკის შემცველ უბრალო სოფლის ქალის კალთას.

უცხოეთის ბურჟუაზიაში გამეფებულია რწმენა, რომ მწერლობა—თავის შექცევაა. მდიდარ კაცს მრავალი საქმე აქვს. იმის ხელთ არის ისეთი რთული მანქანა, რომელსაც დიდი ყურადღება სჭირია. ყოველ წუთს და ყოველ წამს მდიდარი კაცი უნდა მოელოდეს ამ მანქანის მოშლას, უყურადღებობის გამო დარღვევას. მანქანის პატრონის მთელი არსება ამოძრავებულია, მთელი იმის სულისა და სხეულის ძარღვები დაჭიმულია. იმან კარგად იცის, რომ ყოველ წუთს სიფრთხილე ჰმართებს, რადგან მეზობლად მადაგიძებული მემანქანე ჰყავს, რომელსაც არ სძინავს და სულ იმას ელის და უდარაჯებს, რომ თავის მეტოქე მეზობელს პირიდან გემრიელი ლუკმა გამოაცალოს საქონლის გამსაღებელი ბაზარი წაართვას და თავისი ქარხნების ნაწარმოებით აავსოს. კაპიტალისტთა შორის გამეფებულია ვამწვავებული ბრძოლა სიმდიდრის გამრავლებისათვის: სხვა არაფრისათვის იმათ არა სცალიათ.

ვის ხელშიდაც სიმდიდრეა, ქვეყნის მართვა გამგეობაც იმათ ეკუთვნის რასაკვირველია. ხალხის აღზრდა-განათლების საქმე, სკოლა, მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება, —იმათ კანონებს ემორჩილება, თავს აწონებს, იმათ გემოვნებაზე ჰყღერს. სიმდიდრის მწარმოებელს მხოლოდ თავისი საქმე მიაჩნია სერიოზულ საქმედ და განა საკვირველია, რომ მხატვრულ მწერლობას იგი არა სერიოზული თვალით უცქერის. ეს მწერლობა თავ-შესაქცევი, დროს გასატარებელი საგანია მისთვის. მწერალმა უნდა დასწეროს თავისი მოთხრობა თუ რომანი მსუბუქი, ლამაზი ენით; ღრმად არ უნდა შეეხოს ცხოვრების უღრმეს საკითხებს, რადგან ყველა ეს ბურჟუაზიის საქმეა, რომელიც ცხოვრების სათავეში დგას; მწერალმა უნდა გაამეფოს თავის ნაწერში მშვენიერების მსახურება, რომელიც უმთავრესად ლამაზი ქალის ტიტველა სხეულის თაყვანისცემაში გამოიხატება; უნდა ააღეროს თავისი ჩანგი ზღაპრულ კილოზე, რათა ტკბილი ძილი მოჰგვაროს ქვეყნის მპყრობელთა დაღალულ თვალებს, ან ისე უნდა მეტყველებდეს, რომ იმისი შემოქმედება უღრიდეს არა ფიქრთა წყაროს, არამედ სატრფოს ტკბილ ალერსს და ლამაზ ტიტინს.

დღეს მწერლობის ბაზარი სავსეა იმგვარ ნაწარმოებით, რომლითაც, თვისდა შეუმჩნევლად, დემოკრატია და მისი მეთაურები იკვებებიან და აზრით, მისწრაფებით ხელოვნებაში ბურჟუაზიას ემონებიან.

ედმონდ როსტანის ნაწერებში ყველაზე უფრო ნათლად სჩანს დღევანდელი მოთხოვნილება ხელოვნების მიმართ. როსტანმა ასწერა ზედაპირული, მსუბუქი, ლამაზი მასალათი ცხოველთა შორის და მთელ

ასე ეუბნებოდა, ასე უმღერდა ერთი წლის შემდეგაც გოგლოს ანიკო.

ისინი უკვე შეუღლებულნი იყვენ ერთი წლისა.

კანონიერადაც კი ჯვარ-დაწერილნი.

გოგლო ისევ ისე გულში იკრავდა, ეხვეოდა თავის ღვთაებას. ისევ ისე თრთოდა მის შეხებაზე, ისევ გიჟდებოდა და იბნიდებოდა, ვით პირველ ღამეს.

ულრუბლო იყო მათი ცხოვრება.

სიყვარული, სიყვარული, სიყვარული. ნეტარება, ნეტარება, ნეტარება.

ყოველი მხრით, ყოველ კუთხეში. ჰაერში, წყალში, ცეცხლში, მიწაზე.

მშვენიერი სამწერლო მაგიდა ედგა ეხლა გოგლოს.

ყოველივე მოხდენილი, გემოვნებით შერჩეული და მოსიყვარულე ხელით გარიგებული. უშველებელი განჯინა წიგნებით გაჭედილი, კედლებზე საუცხოვო და აზრიანი სურათები. ყველაფერი ეს იყო გაწმენდილი, გაკრიალებული, ცოცხლად და მარჯვედ გამოიყურებოდნენ ყველა ეს საჭირო და უცხო ნივთები მხოლოდ მაგიდაზე თითქო წყენისაგან გაფითრებული, მაგრამ მაინც მწყობრად ეწყვენ მოგრძოთ ჩამოჭრილი ქაღალდის ფარატინები.

თითქო ცოტა მოლურჯო ფერი დასცემდათ.

ეს ანიკომ აარჩია ეგეთი მონიერულები:—თვალს არ ატკენს ჩემს ოგლოსაო.

მაგრამ აი გოგლომ მერამდენჯერ წაიღო ამ კოპწია ფარატინებისაკენ ხელი და უნდოდა კალმით ამბორს ეყო მათთვის.

სწორედ იმავ დროს რკალიკით შემოეტეტო გოგლოს ყელს ორი ნაზი, სალუქი ანიკოს ბროლი მკლავები და კიდევ ერთი ტკბილი და გახურებელი კოცნის ხმა ათრთოლდა ჰაერში.

— აღარ გიყვარვარ... ფარატინებისაკენ ვიიზიდები?

— როგორ არ მიყვარხარ, ჩემო თვალის სინათლევ! სხვა რა გამაჩნია ქვეყნად სასიყვარულო! მიყვარხარ, მიყვარხარ გაგიჟებით. სიკვდილამდის, კუბოს ფიცრამდის. მანამ, სანამ ჩემს მგრძნობელობას ნირვანის ხაოსი არ დაიუფლებს.

— კიდევ მითხარი, კიდევ, რომ გიყვარვარ... ასჯერ, ათასჯერ, გაუწყვეტლივ. სულ ეგ ჰასმინე. „სულ გახსოვდე, სულ გიყვარდე!“

კვლავ იხლართებიან მკლავები, კვლავ ერთად სძგერს ორივეს გული, კვლავ იბნიდება ორი წყვილი თვალი, კვლავ ერთი მეორეს ეწებება ბაგეები.

გოგლომ დაიჭირა თავის თავი.

ერთხელ, ესეთ ნეტარების დროს მან შეამჩნია თავის თავს, რომ თვალები წიგნით გაჭედილ განჯინისაკენ გაექცა. იქ მოჰკრა თვალი მის საყვარელს მწერალს და...

ეს რა მოუვიდა?

ანიკოს ალერსს გაუსხლტა მისი გრძნობა?

ანიკოსთვის არა უთქვამს-რა. მაგრამ თავს ხომ ველარ ეცრუება? ანიკოს რომ დაუმალოს, თავის თავს სად გაექცევა?

უკვე დაიწყო სიცრუე?

არა. გოგლო არ იცრუებს და აი განჯინისკენ ერთ მშვენიერ დღეს გასწია თამამად.

— რა იყო, მანდ რა გინდა?— შეშფოთდა ანიკო.

— წიგნი მინდა გამოვიღო, ჩემო კარგო.

— წიგნი? მაშ მე მოგბეზრდი... არც კი გრცხვენია.

— მომბეზრდი!.. რას ამბობ, ჩემო სულის დგმავ, თუ მზეს თვისი მსვლელობა მოჰბეზრდა, მეც შენი სიყვარული მომბეზრდება... აბა ეგ როგორ გაიფიქრე... წიგნი მინდა მხოლოდ გადავიკითხო.

— გოგლო!

გოგლო მობრუნდა.

მათი თვალები შეხვდნენ ერთმანერთს. ორივეს სიხარულით გაეცინა და კვლავ ყელი გადააჭვდეს ერთი-მეორეს.

— სიყვარული მბრძანებლობსო!

—სწორედ მაშინ გაუელვა თავში გოგლოს.

ახალი ნასადილევი იყო და ანიკო, როგორც დასახლისი ჯერ კიდევ სუფრის ალაგებაში შველოდა მსახურს.

გოგლო ამ დროს თავის სამუშაო ოთახში გამოვიდა და თამბაქო გააბოლა. თითქო უნებლიედ მისი ყურადღება ერთი მოაზროვნის ქანდაკებამ მიიპყრო. იგი შეჩერდა და უფრო დაკვირვებით ჩააცქერდა ამ დიდებულ სახეს. ისე გაიტაცა ამ საქმეს, რომ ანიკოს ხმა ველარ გაიგონა.

— ანიკო!

ანიკო ფეხაკრეფით მოვიდა.

— ეს ვინ არის?

— ეს ... ეს ... ეს ...

ქვეყანაში სახელი გაითქვა. ამ ცხოველებში, რასაკვირველია, ადამიანები უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო არა ყოველ-დღიური ჭირ ვარამის მომთმენი და თავისუფლების მწყურვალე ადამიანები, არამედ ისეთები, რომლებიც მკვირცხლად და ლამაზად ცელქობენ ცხოვრების ასპარეზზე, სატრფოთ შესტრფიან, ხან ტკბილად ლაზღანდრობენ, ხან მწარედ ჭორიკანობენ და ამ წუთი სოფელში ჭრელ პეპელებსავით დაფრინავენ.

როსტანმა ცხოველებში მოათავსა თავისი შემოქმედების უძლურება და ბურჟუაზიული ხელოვნების მოახლოვებული აღსასრული დაგვანახვა.

ინდოელებს სწამთ, რომ ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ ცხოველებში გადადის. ბურჟუაზიულმა ხელოვნებამ დაადასტურა ეს რწმენა. იგი კვდება და იმისი სული ცხოველებში გადადის.

იმის გამოსაცნობად, თუ რა გვარ მწერლობას ეკუთვნის მომავალი, მივმართოთ ინდოეთის სიბრძნის კრებულში დაცულ შემდეგ ღრმა საგულისხმო სიტყვებს: „ცხოველ-მყოფელო ღრუბელო! შენ გრილი ნამი ასხურე მზისგან დაშწვარ მთებს, გამოაცოცხლე საცოდავად დაგვალული ტყეები; შენ აავსე წყლითა მრავალი მდინარე და ნაკადული. ახლა კი ღონე მიხდილი და მკვირცხალე ხარ და უმაღლესი შვენება შენ ანაში გამოიხატება“.

ილია ნაკაშიძე.

მოწვრილი ამბები

ფოთი. 14 სექტემბერს მოხდა დამატებითი არჩევნები ქალაქის მაშებისა, ვინაიდან 8 სექტემბერს საკმაო რიცხვი არ იქმნა არჩეული. ასარჩევი იყო ერთი ხმოსანი და არა ნაკლებ შვიდ კანდიდატისა.

9 საათზე თვით-მმართველობის დარბაზში შეკრა თავი მოიყარა ამომრჩეველთა საკმაო რიცხვმა და გაჩაღდა გაცხარებული კამათი იმაზე, თუ ვის დაესახელებინათ კანდიდატებად. გამოცხადდა სულ 170 ამომრჩეველი.

იმ დროს, როცა ამა თუ იმ კანდიდატის ვინაობა ეკრა გამოარკვეული იყო, გამოვიდა ბ. ნიკოლაძე თავის კაბინეტიდან და ამომრჩეველებს მეშვეი სიტყვებით მიმართა: შე ძმაიდე რწმუნების ბარათი ბ. იზბაშისაგან (რუსის საზოგადოების აგენტია, რომელმაც არა ერთხელ ისარგებლა თავი თავისი სასასტიკოთ ნაგო-საღეგურის მუშების მიმართ), რომელსაც სურს კენჭი იყაროს ხმოსნობაზე და თქვენც შეგეკვლად უნდა კეთეთროთო. საკმარისი იყო ბ-ნ ნიკოლაძის ეს კანცხადება, რომ ჩარჩამომრჩეველებს შეეკრიბოთ თავიანთი კანდიდატები და იმ წამსვე შესდგომოდნენ აგიტაციის ბატონის ბრძანების თანახმად. ასტედ ერთი ადიაქოთი. ბომბადურები კაიძახოდნენ: შეეკვლად ის უნდა ავიჩიოთ, ვინც ბატონმა დაკვისახელა და ამასთან დასძენდნენ: ეცხო სტუმარია, რომ არ ავიჩიოთ, სირცხვილია.

11 საათზე დაიწყო კენჭობა. უეთი დაიდგა თხუთმეტამდე კაცმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხმოსნად არჩეულ იქმნა იზბაში; კანდიდატები კი არჩეულ იქმნენ: კ. მალანარაძე, გ. ანდრონიკაშვილი, ა. ხოშტარია, ა. წურქაია და დ. გუგუშვილი, სულ ხუთი კაცი. ასე რომ საკმაო რიცხვი არც დამტკიცებითი არჩევნებმა მოკვეცა და ქალაქის დებუდების ძალით კი შეტი არჩევნები ალარ შეიძლება.

დასრულდა ქალაქის არჩევნები. ფოთელებმა ერთხელ კიდევ დამტკიცეს თავისი ბრძა მოარჩიდება და აირჩიეს ის, ვინც ბატონს სურდა. იყო ასეთი მაკადითი: მიდის შეკენჭვ ეუთთან და ეუბნება ასისტენტს: ბატონმა რომ ბრძანა, ის რომელია მითხარი, რომ არ შეეცდეო და სხვა. საერთოდ რაც შეეხება არჩევნებს, უნდა ითქვას, რომ შედარებით წინა წლებზე, ეს არჩევნები უფრო ბრაგრესიული უნდა დარჩეს.

ასე და ამგვარად, ქალაქის ბედ-იბალი ოთხი წლით ეკვე გადაწყვეტილდის. ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს...

ჭრიჭინა.

—

იმერეთი. (ცოტა რამ სამრეკლოს სკოლების შესახებ,) „სახალხო გაზეთის“ მე-62 ნომერში მოთავსებულმა სოფლის მასწავლებლის წერილმა, რომელიც ეხებოდა სამრეკლოს სკოლებს, სამაზრთდანი გულის წერომა გამოიწვია იმერეთის ეპარქიალურ ოსემკლიერის, დეკანოზ ერმალოზ კანდელაკის მხრით. აღსანიშნავია, რომ უმეტესობა კორესპონდენტებისა, ეხებიან რა სამრეკლოს შკოლებს, აწერენ მას ისეთს ნაკლულოვანებას, რომელიც მასშიდ ან არ არსებობს, ან თუ არსებობს უმნიშვნელოა და სრულებით ვერ ამჩნევენ იმ უთავბოლო ნაკლულოვანებას, რომელნიც ძირს უთხრიან სწავლის საქმეს ამ სკოლებში.

უგულოფერი შეიძლება ითქვას სამრეკლოს სკოლებზე, მაგრამ იმის თქმა, რომ მასში ქართული ენის სწავლება დაქვეითებული, ან შეეწყვეტილი იყოს დღეს, ეოდენად მეუწყინარებელია, მით უმეტეს გაუგებრობაა მისი ამ მხრივ სამინისტრო შკოლებთან შედარება, რაც უკვე სამართლიანად აღნიშნა სამეწყოს ბ-ნმა თავჯდომარემ, მაგრამ სამეწყოს თავჯდომარეს, დეკანოზ ერმალოზ კანდელაკს იმაში-კი ვერ დავეთანხმებით რომ მასწავლებლების უვარგისობა სამრეკლოს სკოლებში მარტო მატერიალური უსახსრობით აიხსნებოდეს. ვინც-კი საფუძვლიანად გაეცნობა სამეწყოს საქმეებს ის უეჭველად შეამჩნევს, რომ სამეწყო, ერთის მხრით, სისტემატიურად დევნის და ავიწროებს სუფეთოსო მასწავლებლებს, მეორე მხრით კი, ეზას არ აძლევს ახალ, დირსეულ ძალებს და მით სამასწავლებლო ასპარეზს უხსნის უფიცებს. კარგი იქნებოდა, რომ კორესპონდენტები სამრეკლოს სკოლებს ეხებოდნენ რის ყველობითაც თვით მასწავლებლები ეკოდენ ზესობრივ დამცირებას და შეურაცყოფას კანიცდიან და ხელს არ წამოეკრავდნენ სიდმე ასეთ რაშეს, რაც სამრეკლოს შკოლების ერთად ერთი დირსებაა.

დაინტერესებული.

—

რაჭა. ვინ არ იცის როგორი სანინელი და უკურნებელი სენია ჭლექი. მეცნიერება თუმცა ბევრს სცდილობს მაგრამ ჯერაც ჭლექის უბარი წამალი ვერ გამოუგონია.

საზოგადოდ ეს სენი უფრო დიდ ქალაქებში მძვინვარებს. სოფლად იშვიათი მოვდენა იყო, მაგრამ ახლა სოფლადაც ჭლექით ავადმყოფთა რიცხვი თან და თან მატულობს.

ჩვენ ხშირად წაკვიკითხავს წიგნებსა თუ გაზეთებში, როგორი მოსარიდებელია ჭლექიანი ავადმყოფი. სადმა ადამიანმა არ უნდა იხმაროს, ჭლექიანი ავად-მყოფის ნახმარი ჭურჭელი, ტანისამოსი და სხ. თუ კი ეს ასეა, მაშ ეფრო მოსარიდებელი იქნება ჭლექიანი ადამიანის ნაწოდი ქვეშსაგები.

მართალ მოგახსენებთ სოფლის ხალხიც რაც კი შეიძლება ერიდება ამ სენს, მაგრამ სიბნელიდით დაზარალებული, გაჭირვებული კაცი ხშირად ავად-მყოფის დოგინს დასწვავად ვერ იმეტებს და სოფლად მოწანწალე ჩარჩ ვაჭრებზე ჭეშდის.

მოკვდება ვინმე თუ არა ჭლექით, მაშინავე იმ ოჯახში გაჩნდება, ხოდმე რომელიმე მაწანწალა ებრაელი და სულ შექთად, ჩადის ფასად ეიღებდის ავადმყოფის ქვეშსაგებს თუ ტანისამოსს. მიაქვს ეს ქვეშაგები ბაზარში და იქ მეტარზე მამასისხლად ჭეიდის. რა იცის შეიდვედმა გაოჩენილ ურიის ოინები, ის ეფიცება მეიდვედს: ეს ქვეშსაგები მომეიდა დარიბმა კაცმა, უჭირდა, მჭადის საეიდად უნდოდა ფული, თვარა ამისთანა ქვეშსაგებს როგორ შეედეგოდა“.

მეიდვედსაც მიაქვს ჭირიანი ქვეშსაგები და ატანს ქალს მზითვად მადე ამ ახალ ოჯახშიაც ჩნდება ჭლექი...

ასე ვრცელდება სოფლად ეს საშინელი სენი.

მე, ამ სტრიქონებს დამწერი, თითონ მოწმე ვარ რამდენიმე ასეთი შემთხვევისა. კაეფლანძდე ჭირიან ქვეშსაგებეფლის მეიდვედი მაწანწალა ებრაელი, მაგრამ იმან თავისი არ დაიშალა: მეორე თუ მესამე დღეს ქვეშსაგები ბუმად წაედო.

ნეტა როდის შეიგნებენ ან მეიდვედი და ან კაშეიდვედი, რომ ამით მომაკვდინებელ. ცოდვას სჩადიან და თვით უბედურნი სხვასაც აუბედურებენ, აჭირიანებენ.

კარგი იქნება სოფლის ინტელიგენციამ, ნამეტნავად მეფეფლებმა ბაკოონ ხოდო ხალხის ჭლექიან ავად მეოფის დოგინის გაეიდვის მაგნებდობა და იქვე თავის თავადის წინ დაწვეგინონ კოდმე,

უკეთესს საქმეს ვერ გაკეთებენ.

რაჭველი შურდული.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. როგორც გადასწყვიტა დრამატიული საზოგადოების გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე ქართული თეატრის სეზონია დაიწყება 26 სექტემბერს.

19 სექტემბერს ვერ მოხერხდა სეზონის დაწყება, ვინაიდან თეატრის კასსა მხოლოდ 18 ამთვეს იქნება მზათ. სეზონი დაიწყები დ. ერისთავის „სამშობლოთი“, რომლისათვის დაწერილია ცნობილ დეკორატორ ნოვაკის მიერ ახალი დეკორაციები პიესის რეჟისორი ვ. შალიკაშვილი, უმთავრესს როლებს კი ასრულებენ ქ-ნნი დავითაშვილი (ქეთევან), ლეჟავა (ფაიხოშ), ჩერქეზიშვილი (მოხუცი დედაკაცი) და ბ ბ. გამყრელიძე (ლიონიძე), მდივანი (ხიმშიაშვილი), გუნია (შაჰი), ზარდალიშვილი (დადიანი) და შალიკაშვილი (გოგია დიაკვანი). „სამშობლო“ განმეორებულ იქნება აგრეთვე სამშაბათს 28 სექტემბერს. ხუთშაბათს, 30 სექტემბერს ვლ. ალ. მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ი. გორდინისა. თარგმანი ვ. შალიკაშვილისა. „სატანა“, რომელიც ძლიერ მოსწონს რუსეთში საზოგადოებას. ამ პიესისათვისაც იწერება ახალი დეკორაციები. უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნნი დავითაშვილი, გუნია, შალიკაშვილი და ზარდალიშვილი, კვირას 1 ოქტომბერს განზრახულია წარმოსადგენად ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა „სიმახინჯე“. ეს წარმოდგენა დიდად საყურადღებოა, მით, რომ მასში ყველა უმთავრეს როლებს ჩვენი ახალგაზდა მსახიობნი ასრულებენ ქ-ნნი ზარდალიშვილი, მდივანი, მგალობლიშვილი, გვარაძე, მამფორია და სხვა.

ამ პიესების შემდეგ განზრახულია წარმოსადგენად „მზის ამოსვლამდის“ ჰაუპტმანისა, „გამხმარი ფოთოლი“ შიუკაშვილისა „მსხვერპლი“ გედევანიშვილისა, „ნიშანი ყოფაქცევაში“ და სხვა ყველა ახალი პიესაა.

—

დ. ხონი. კვირას, 12 სექტემბერს, აქ გაიმართა ლიტერატურული გასამართლება საჩინო გულიაშვილისა. საჩინო გულიაშვილი გმირია ივ. გომართლის 5 მოქმედებიან პიესისა „ქოხში“.

ბრალმდებლებად გამოვიდნენ ტრ. ტაბუკაშვილი და ივ. ჭავჭანიძე. დამცველებად აკ. პაპავა და ილ. ბახტაძე. მოსამართლეებად იყვნენ შემდეგი პირები: გრ. ბურჯულაძე, ლავ. ჩიბაკაძე და ერ. კიწმარიშვილი. სასამართლოს თავმჯდომარეობდა პ. კიკალიშვილი. თავმჯდომარემ სასამართლოს სხდომა დაწყებულად იცნო და წინადადება მისცა დამსწრე საზოგადოებას თავიანთ წრიდან აერჩიათ ხუთი სხვა მოსამართლეც. საზოგადოებამ მოსამართლეებად აირჩია შემდეგი პირები: მ. ბახტაძე, ი. შარავიძე, ივ. ქუთათელაძე, სერ. მამალაძე და გიორ. ბოკერია. ამის შემდეგ მდივანმა წაიკითხა საბრალმდებლო ოქმი.

საბრალმდებულო ოქმი დაახლოვებით შემდეგი შინაარსის იყო: საჩინო გულიაშვილს ბრალს სდებდნენ თავის ძმის მკვლელობაში. მან გლეხს თარხანს მოაკვლევინა თავისი ჭლექიანი ძმა, რომ ეს საზარელი სენი სხვასაც არ გადასდებოდა. ბრალმდებელმა ტრ. ტაბუკაშვილმა გრძელი სიტყვა სთქვა. ამას მოჰყვა დამცველების სიტყვებიც. მსჯელობაში თითქმის დამცველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ, როდესაც ხალხსა და მოსამართლეებზე მიდგა საქმე, იქ სულ სხვანაირად გადაწყდა.

როგორც ხალხმა, ისე მოსამართლეებმა გადასწყვიტეს, რომ საჩინო გულიაშვილი დამნაშავეა, მაგრამ ამასთანავე ღირსია სასჯელის შემსუბუქებისაო.

ხალხი საკმაო დაესწრო. **მაღალი.**

უცხოეთი

საფრანგეთის საჩუქარი მექსიკას

მექსიკის განთავისუფლების ასი წლის შესრულების გამო, საფრანგეთის რესპუბლიკამ ძღვნად გაუგზავნა სატატო ქალაქ მექსიკას გალავნის გასაღები. ეს გასაღები ნაპოლეონ III გალაშქრების დროსაა წამოღებული. საფრანგეთის ელჩმა დიდის ზეიმით გადასცა ეს გასაღები მექსიკის პრეზიდენტს დიადცს 21 სექტემბერს (ახ. სტ.)

რუსეთი

ლეონიდ მენშიკოვი და რუსეთის პროვოკატორები.

ლეონიდ მენშიკოვი, რომელმაც საიდუმლო პოლიციაში სამსახურს თავი გაანება პრავაკატორების გამომძღვანებაზ მოჰკიდა ხელი. საინტერესო მასალას იძლევა.

სხვითა შორის ერთ კორესპონდენტთან ასეთი საუბარი ჰქონია:

— „ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს გადავეცი ცნობები პროვოკატორებზე

— ბევრნი არიან?

— 350 კაცი. ამათაგან სოც. დემოკრატები და ბუნდელები (ებრ. ს. ტ) 100 მეტია, სოც.-რევოლუციონები 25, პოლონეთის ორგანიზაციებისა—75, კავკასიისა—46.

ამათ გარდა პარტიულ მიმართულების აღუნიშვნელად—68 გვარი გამოვაცხადე „რეველ. მისლში“ და 25 გვარი გავუმჟღავნე კერძო პირებს, ვისთვისაც ეს საჭირო იყო.

— ეხლა რომელ საქმის გამომძღვანებას აპირებთ?

— მე მგონია გარტინგის, რატაევის და რაჩკოვსკის „დაკლადებს“ მივყოფ ხელს. ეს მასალა უკვე დამზადებული მაქვს. ვფიქრობ ცალკე წუნად გამოვცე, ამ სათაურით: „რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის შავი წიგნი“.

— თქვენს „შავ წიგნში ბევრი გვარებია?

— სამი ათასამდე! ნუ გაიოცეთ და ნურც შეკრთით. ეს ხომ შერვუდას („სკვერნი“) დროდანაა მოყოლებული. თუმცა უნდა გითხრათ, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე პროვოკატორები ათიოდე თუ იყვნენ.

ოთხმოც-და-ცხრამეტი პროცენტი კი, უკანასკნელ 25 წელიწადს გაჩნდა.

ყველა ესენი რევოლიუციონურ ორგანიზაციებში „მუშაობენ“, ბევრი მოკვდა ან მოჰკლეს, ბევრმა თავი ვაანება და სხვა, უფრო გამოსარჩენ საქმეს მოჰკიდა ხელი. მაგრამ მათი სია მაინც მწუხარე ფიქრებს აგიშლით. აქ შეხვდებით გაუნათლებელ გლეხს, ნასწავლ ცნობილ ინტელიგენტს, ლიტერატორს, ვექილს და სხ.

— „შავი წიგნის“ მერე რაღას აპირებთ?

— მერე გამოვცემ „პოლიციის დეპარტამენტის გაზეთს“. ამაში მოვათავსებ დიდებულ, მეტათ საგულისხმო ისტორიულ მასალებს 1903—1805 წლამდე.

შემდეგ ჩემს მემუარებს გამოვცემ. ბალოს კი, რადგან მეტად მდიდარი მასალა მაქვს, გამოვცემ „განმათავისუფლებელ მოძრაობის ქრონიკას“.

— როგორი დამოკიდებულება გქონდათ გარტინგის საქმესთან?

— სულ უბრალო! ბურცევს რომ პირველად შევხვდი ბრიუსელში, ვკითხე: იცით ვინ არის გარტინგი? „არაო“ მიპასუხა. მაშინ ვუპასუხე: „ეგ ხომ თქვენი ძველი მეგობარია, ვეკკელმან-ლანზენი“.

ამას გარდა გავუმჟღავნე სხვა მუშებიც მაგ. გეისმანი, პროტაცევი და სხვ.

— არ გეშინიანთ, რომ თქვენი მასალები... მოგ აცოთ ვინმემ?..

— სრულებითაც არა. მე მეტად ფრთხილი ვარ მაგ შემთხვევაში. თან მხოლოდ სადღეისო მასალას ვატარებ. დანარჩენი კი სანდო და სარწმუნო ადგილსა მაქვს შენახული. უფრო-თვალსაჩინო და საყურადღებო საქმეებისა კი მეორე პირიც მაქვს გადადებული, ყოველ შემთხვევისათვის.

ვანცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ფოთშაბათობით დარიგებს უფასოდ იღებს. (6.—182

იძლევა ქირით

კარგად მოწყობილი სავაჭრო მაღაზიები, დაზგებით, და ყაფაზებით, მსურველს შეუძლიან ორი, ან სამი ერთად დაიქირაოს, შეუძლიან ფურნეც გააკეთოს. ფასის გაგება შეიძლება იქვე: დიდუბისა და შერეკეტევის ქუჩების კუთხე **ბაქრაძესთან.** (5—71—1)

წიგნის მაღაზიების პატრონთა

საუკურადღებოდ

იყიდება 40% დაკლებით ვინც ხუთ ცალზე მეტს იყიდის:

თხზულებანი ია ეკალაძისა

(თომაანთ კობასი) ღირებული მანეთად, და საყმაწვილო წიგნი

მელიას თავგადასავალი,

ა. ნათაძისა

ღირებული 25 კაპ., დაბეჭდილი 1904 წ. მსურველთ მიმართონ „სახ. გაზეთის“ რედაქციაში **პ. ახალკაცს.** (10—8)

გამოვიდა და იყიდება ქ. ბ. წ. კით. გამ. საზოგადოებისა და სხ.

წიგნის მაღაზიებში

დუტუ მეგრელის

ნაწერები

I წიგნი **ლექსები** . . 70 კაპ.

II წიგნი **მოთხრობები** . 70 კაპ.

ხელის-მომწერლებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს გაზეთ „დროების“ რედაქციაში, და მეორე წიგნი ჯერ არ მიუღიათ, უნდა მიმართონ დასახელებულ წიგნის მაღაზიაში ბ. ივანე ავალიშვილს, ან პირადად ან ფოსტით ღია ბარათით ამ ადრესით:

Тифлисъ. Дворцовая, домъ Дворянства, книжный магазинъ общества грамотности, И. Авалишвили.

(10—დ-ბ.—4)

დოქტ. ნავასარდიანისა

ეოფულ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. ბ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—11/2 ს. შიგან- და საბავშვო.

ბ. გ. ბგასაროვი: 11/2—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—61/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კეთილსულტანებენ და ოვერაციები, შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც ჰეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისაკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.

ბაკოსაკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ზარაფხანისაკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.

ჯულფისაკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.

ერევნისაკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დღ. 11 ს. 4 წ.

ბაკოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1, სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.

ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.

ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.

ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წმელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1910 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელიმომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მეიეთმა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. „დედამიწა და კეთილი კარსგვლავი“—ზღაპარი ეგალდისა; 2. „ძარჯნები“.—ზღაპარი ეგალდისა; 3. „თოდმეტი“—ზღაპარი ეგალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ოერიგე გამოდგამა—სამი მანეთი; **ხაზღვარ-გარეშე:** წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. **„ნაკადულის“** რედაქციაში (ბოლოვინის ბოულევარზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარგლამი).

ვ ა მ ო ც ლ ი ლ ი საპნის მკეთებელი მეგრი წელი წადი გიმუშავე

თაირიოვისა, ალიხანოვისა, და ტოლლეს აქც. საზოგადოებაში — ტფილისში. ვეძებ ადგილს ან ამბანაგს ქარხნის გასახსნელად. კარგათ ვამზადებ ყველა პირველ ხარისხის საპონს, ვაკეთებ იაფ-ფასიან ზეთის ნარჩენიდან, ნარეგიდან, და აგრეთვე ყველა მეორე ხარისხის საპონს, საპირფარეშო საპონს.

ადრესი: ქ. ტფილისი ბ. ს. ლანგის მოკითხვამდის. (Довостребованія)

(5—62—1)

ვ. ყიფიანის დრამა

საშეგრელოს მთავარი

ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მეხიევისა.

ფასი ოქრი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

გაფრთხილება

რადგან **სპერმინი-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესია“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: საოფთექრო და საპორფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰბაძავენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეებად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ნერვიზმის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს **„სპერმინ-პელს“** და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდ ყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა.** **ფლაკონი** ღირს 3 მან.

ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ ергнотерацевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 88456). (8—23—2)